



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჩ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 8-01/49-25

06.08. 2025 წ.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს,

საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის
მოსამართლეს
ქალბატონ ლელა კალიჩენკოს,

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება
ბრალდებულ ნინო დათაშვილის (სისხლის სამართლის საქმე N007100625002) მიმართ
გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შესახებ
(წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
55-ე მუხლის შესაბამისად)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), როგორც უფლებადაცვითი
ორგანიზაცია, აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხელისუფლების ყველა შტოს საქმიანობას და
მის შესაბამისობას ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან, ჩართულია
სამართალწარმოებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, საერთაშორისო სასამართლოებში, წერს
კვლევებსა და ანგარიშებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. საია 2011 წლიდან აკვირდება სისხლის
სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს სასამართლოებში.
შესაბამისად, ადგილობრივი კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზის,
სისხლის სამართლის სასამართლო სხდომების 14 წლიანი მონიტორინგის გამოცდილებაზე
დაფუძნებული ცოდნა გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ჩვენ მიერ გაზიარებული
მოსაზრებები *bona fide* შეასრულებს სასამართლო მეგობრის მიზანს.

მოგახსენებთ, რომ წინამდებარე დოკუმენტში ასახული მოსაზრებები სასამართლოსთვის
წარდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2
ნაწილის სრული დაცვით და მისი მიზანია, ნინო დათაშვილის სისხლის სამართლის
N007100625002 საქმესთან დაკავშირებით, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით
შეფარდებული პატიმრობის გადასინჯვის პროცესში სათანადოდ შეფასდეს გამოყენებული
პატიმრობის ძალაში დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი.

I. ფაქტობრივი გარემოებები

1. 2025 წლის 10 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში სისხლის სამართლის N007100625002 საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, 2025 წლის 20 ივნისს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს ნინო დათაშვილი. იმავე დღეს, ნინო დათაშვილს პროკურატურის მიერ წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353²-ე მუხლის მესამე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: „საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, პოლიტიკური თანამდებობის პირზე, სახელმწიფო მოსამსახურეზე, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებულ პირზე ან/და საჯარო მოსამსახურეზე ან/და მისი ოჯახის წევრზე თავდასხმა საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან მის საქმიანობასთან დაკავშირებით – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.“
2. ბრალდების დადგენილების თანახმად, 2025 წლის 09 ივნისს, დაახლოებით 17:00 საათზე, ქ. თბილისში აღმაშენებლის ხეივანი N64-ში მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში, მანდატურის სამსახურის თანამშრომელმა ნინო დათაშვილს წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა. ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა სასამართლოს მანდატურის კანონიერ მოთხოვნას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში მანდატურებს წინააღმდეგობა გაუწია და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ამავე ვითარებაში თავს დაესხა მანდატურ გიორგი შარიქაძეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, კერძოდ სახის არეში ხელი ორჯერ დაარტყა. ასევე მისთვის ფიზიკური ზიანის მიყენებას შეეცადა ხელზე კბენის და ფეხის არეში დარტყმით. ნინო დათაშვილის ქმედების შედეგად გიორგი შარიქაძემ ფიზიკური ტკივილი განიცადა.
3. 2025 წლის 21 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ეკა ბარბაქაძემ, დააკმაყოფილა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორის მედეა ცირამუას შუამდგომლობა და ბრალდებული ნინო დათაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა.
4. 2025 წლის 25 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ დაუშვებლად ცნო ნინო დათაშვილის საჩივარი აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გაუქმების თაობაზე.

II. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და საფუძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად (2025 წლის 02 ივნისის კონსოლიდირებული პუბლიკაციის თანახმად), რომელიც აწესრიგებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძველს, გათვალისწინებულია შემდეგი:
 1. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა,

უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა.

4. სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

5. აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

6. აღკვეთის ღონისძიების სახით საექსტრადიციო პატიმრობა, გარდა ამ მუხლითა და ამ კოდექსის 205-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გამოიყენება აგრეთვე ექსტრადიციის დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების აღსრულების (ექტაპირების) მიზნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ითვალისწინებს მხოლოდ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 111 პუნქტით განსაზღვრულ გარემოებებს.

საქართველოს 2021 წლის 30 მარტის კანონი №430 – ვებგვერდი, 13.04.2021წ.“

6. პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახეა. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პატიმრობა წარმოადგენს ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას და გულისხმობს სასამართლოს განჩინებით განსაზღვრული ვადით ბრალდებულის მკაცრ იზოლაციას გარე სამყაროსგან. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენებით იზღუდება ბრალდებულის სხვა უფლებებიც, რომელთა რეალიზაცია ობიექტურად შეუძლებელია თავისუფლების შეზღუდვის ადგილას, მაგალითად, მიმოსვლის თავისუფლება, დასაქმების უფლება, პირის კავშირი გარესამყაროსთან და სხვა.

7. წინამდებარე საკითხის ანალიზისას, მნიშვნელოვანია, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ისტორიული გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, 1998 წლის 20 თებერვალს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მნიშვნელოვანი შემზღუდველი გარემოებები არსებობდა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თვალსაზრისით. 1998 წლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პატიმრობა არ გამოიყენებოდა იმ დანაშაულებზე, რომლებიც სანქციის სახით არ ითვალისწინებდა 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, როგორც წესი, პატიმრობის გამოყენება მიზანშეწონილი იყო მძიმე ავადმყოფის, არასრულწლოვნის, 12 კვირაზე მეტი ვადით ორსულის, ხანდაზმულის მიმართ (ქალი 60 წლიდან, მამაკაცი 65

წლიდან), აგრეთვე, იმ პირის მიმართ, რომელსაც ჰყავდა 1 წლამდე ასაკის ბავშვი - თუკი მათ ჩაიდინეს დანაშაული გაუფრთხილებლობით ან/და კონკრეტული დანაშაულისთვის დაწესებული სასჯელი არ აღემატებოდა 3 წელს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულმა დაარღვია აღკვეთის ღონისძიების პირობა.¹

8. დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მსგავსი საკანონმდებლო შეზღუდვები და წინაპირობები პატიმრობის გამოყენებისთვის აღარ არსებობს, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენებისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ თუ სხვა პირობებს.
9. მოსამართლე პატიმრობის შეფარდებისას აღარ არის შეზღუდული რომელიმე დანაშაულის კატეგორიით. მოსამართლეებს აქვთ ფართო დისკრეცია და შესაძლებლობა, იხელმძღვანელონ მართლმსაჯულების ინდივიდუალიზაციის პრინციპით, მეტად კონცენტრირდნენ ბრალდებულის ინდივიდუალურ მახასიათებლებსა და მისგან მომდინარე საფრთხეების შეფასებაზე.
10. ინდივიდუალური მიდგომა აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას უზრუნველყოფს იმ ძირითად პრინციპებთან შესაბამისობას, როგორიცაა პროპორციულობა და სუბსიდიარობა, რაც ქმნის სამართლებრივად და ეთიკურად გამართულ საფუძველს ბრალდებულის უფლებების შეზღუდვისთვის. პროპორციულობის პრინციპი გულისხმობს, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია და დაბალინტენსიური ალტერნატივებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია, ხოლო სუბსიდიარობის პრინციპი ხაზს უსვამს იმას, რომ პატიმრობა უნდა იყოს უკიდურესი და საბოლოო ზომა. ამ პრინციპებზე დაფუძნებული ინდივიდუალიზებული შეფასება იძლევა შესაძლებლობას, აღკვეთის ღონისძიება რეალურად პასუხობდეს საქმის გარემოებებს და ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, რაც აძლიერებს სასამართლო გადაწყვეტილების სამართლიანობას და, შესაბამისად, ზრდის მართლმსაჯულების სისტემის ლეგიტიმაციას როგორც სამართლებრივი, ისე საზოგადოებრივი პერსპექტივიდან.
11. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, სასამართლომ უნდა გამოიყენოს მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იყოს აცილებული:
 - (1) ბრალდებულის მიმალვა და მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეშლა;
 - (2) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების ხელშეშლა;
 - (3) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.
- III. პატიმრობასთან, როგორც, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა საიას სასამართლო მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე
12. პრაქტიკაში პატიმრობასთან მიმართებით იკვეთება ორი პრობლემური საკითხი, კერძოდ, პატიმრობის გამოყენების მაღალი მაჩვენებელი და დაუსაბუთებელი პატიმრობის შემთხვევები.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვალი, 159.2. მუხლი.

13. საქართველოს საერთო სასამართლოების ოფიციალური მონაცემების დინამიკა მოწმობს, რომ ბოლო წლების განმავლობაში პატიმრობის გამოყენების რაოდენობა მატალია.² ბოლო მონაცემები რაც უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით ხელმისაწვდომია, აჩვენებს, რომ პატიმრობა 2021 წელს - 42%, 2022 - 39% და 2023 წელს - 38% შემთხვევაში იქნა გამოყენებული.³

14. ამასთან, საიას სასამართლო მონიტორინგის შედეგები წლებია აჩვენებს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ყოველთვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში არ ხდება. კერძოდ, საიას სასამართლო მონიტორინგის ანგარიშები ყოველწლიურად ავლენდა დაუსაბუთებელი პატიმრობის შემთხვევებს. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენება მაშინ არის დაუსაბუთებელი, როდესაც გადაწყვეტილება არ ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, აბსტრაქტულად არის შეფასებული საფრთხეები და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებითაც შეიძლება შესაბამისი მიზნების მიღწევა. დაუშვებელია, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ პირმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. საია მუდმივად გასცემდა რეკომენდაციებს სასამართლოს მხრიდან მეტად ჰუმანური მიდგომების და იმგვარი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რომელიც ნაკლებად ერევა ბრალდებულის თავისუფლების უფლებაში, იმ დათქმით, რომ მიღწეულ იქნას აღკვეთის ღონისძიების მიზნებიც.⁴

15. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფოსთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მძიმე ტვირთს წარმოადგენს. 2024 წლის მდგომარეობით ერთი პატიმრის შენახვის წლიური ხარჯი 21604 ლარია, რაც თვეში დაახლოებით 1800 ლარია.⁵

IV. ნინო დათაშვილის მიმართ გამოყენებული პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, შეფასება

16. საია ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის ეტაპზე დაუსაბუთებლად მიიჩნევდა დათაშვილის მიმართ პატიმრობის გამოყენებას.⁶

17. სასამართლო სხდომაზე პროკურატურა უთითებდა მიმალვის, ახალი დანაშაულისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეებზე. საიას შეფასებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება არ უნდა იყოს აბსტრაქტული და უნდა იყოს გამყარებული კონკრეტული გარემოებებით. ბუნდოვანია, როგორ შეიძლება მოახდინოს ზემოქმედება ბრალდებულმა მოწმეებზე, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავად მანდატურები არიან, ასევე მომხდარი ინციდენტი ასახულია ვიდეორჩანაწერებში. ამასთან, ბრალდებული არ არის ნასამართლევ, არც ადმინისტრაციულ სახელდადებადებული. მიმალვით კი, დათაშვილი

² საქართველოს უზენაესი სასამართლო, მონაცემები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, იხ: <http://www.supremecourt.ge/statistics/> [05.08.2025].

³ საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები (მონაცემები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ) 2021, 2022 და 2023 წლების სტატისტიკა, იხ: <https://www.supremecourt.ge/supreme-court/public/uploads/files/1/statistikuri%20monacemebi%202022/7-arkv%2012.pdf> [05.08.2025].

⁴ საიას ანგარიშები - საია, სისხლის სამართლის პროცესის მონიტორინგის ანგარიში N16, 2022[05.08.2025].; საია, სისხლის სამართლის პროცესის მონიტორინგის ანგარიში N17, 2024 [05.08.2025].; საია, სისხლის სამართლის პროცესის მონიტორინგის ანგარიში N18, 2024 [05.08.2025].

⁵ განმარტებითი ბარათი, საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, იხ: <https://info.parliament.ge/file/1/Bil/ReviewContent/367812> [05.08.2025].

⁶ საია, ნინო დათაშვილის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენებას დაუსაბუთებლად მიიჩნევს, 21.06.2025, იხ: <https://gyla.ge/post/nino-davitashvili-gyla-gancxadeba> [05.08.2025].

არ მიმალულა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა გამოძიების დაწყების შესახებ, რომელიც უკვე დაახლოებით 10 დღეზე მეტია მიმდინარეობდა.

18. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ წარდგენილი ბრალდება თავისუფლების აღკვეთის გარდა ალტერნატიულ სასჯელს - ჯარიმასაც ითვალისწინებს. ბრალდებულს ჰყავს შვილი და აქვს მასზე ზრუნვის ვალდებულებები, ასევე დაცვის მხარემ ისაუბრა ბრალდებულის ჯანმრთელობის პრობლემაზეც.
19. ნაზგასახმელია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მიმართული არ უნდა იყოს ბრალდებულის დასჯისკენ. სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იმსჯელოს ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც ვერცერთი სხვა აღკვეთის ღონისძიების სახე ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას, საგამონაკლისოდ, გამოიყენოს პატიმრობა.
20. თავისუფლების უფლება გულისხმობს, რომ პატიმრობა, ანუ თავისუფლების მაქსიმალური შეზღუდვა, ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა.
21. ეროვნული სასამართლო ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან, საქართველო არის ევროპული კონვენციის მაღალი ხელშემკვრელი მხარე, და, კონვენცია საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, კი, „პირის დაკავება იმდენად მკაცრი ღონისძიებაა, რომ მისი გამართლება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სხვა, ნაკლებად მკაცრი ღონისძიება მიიჩნევა არასაკმარისად ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად“.⁸ ამდენად, პატიმრობა არ უნდა იყოს საწყისი წერტილი აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არამედ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა სხვა ღონისძიება, ერთი და მეტი დასაშვები საფუძვლის მისაღწევად, ჩაითვლება მიზანშეწონილად.
22. გარკვეული საფრთხეების განეიტრალების მიზნით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ე.წ. დამატებითი ვალდებულებების გამოყენებასაც.⁹ კერძოდ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობის ან პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად. ამრიგად, დამატებითი ვალდებულებების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მოსამართლეს შეუძლია, გამოიყენოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ღონისძიება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული დამატებითი ღონისძიებების ნუსხაში.

⁷ საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, მუხლი 6.

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ამბრუსკიევიჩი პოლონეთის წინააღმდეგ“, *Ambruszkiewicz v. POLAND, Application no. 38797/03, 04.05.2006, § 31.*

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 199.2.

მოსამართლეს უფლება აქვს, დამატებითი ღონისძიებები გამოიყენოს მხოლოდ აღკვეთის ძირითად ღონისძიებასთან ერთად და არა – მისგან დამოუკიდებლად. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ ღონისძიებებს აქვს დამატებითი ფუნქცია და მათი მიზანია, აღკვეთის ძირითად ღონისძიებებთან ერთად, საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანა.¹⁰

23. სწორედ ამგვარი ღონისძიებების გამოყენებას შუამდგომლობდა დაცვის მხარე გირაოსთან ერთად, რაც მოსამართლემ არ გაითვალისწინა.
24. ამასთან საყურადღებოა ნინო დათაშვილის განცხადება, რომელიც, ასევე, მიუთითებს მანდატურის სამსახურის თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ საპატრულო პოლიციაც კი გამოიძახა, თუმცა აღნიშნულს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.
25. საიასთვის უცნობია, დაიწყო თუ არა გამოძიება ან რაიმე სახის შიდა მოკვლევა მანდატურის სამსახურის ცალკეული თანამშრომლების მხრიდან ბოლო პერიოდში აქციების კონტექსტში დაკავებული დემონსტრანტების პროცესებზე დასწრების მიზნებისთვის სასამართლოში მყოფი მოქალაქეების მიმართ გამოვლენილ ძალადობრივ ფაქტებზე, ვინაიდან, სასამართლოში მანდატურების მხრიდან მიმდინარე ძალადობაზე მიუთითებდნენ სხვა მოქალაქეებიც.¹¹ აღნიშნულზე საუბრობენ ჟურნალისტებიც. ამგვარი მიდგომები ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების მიკერძოებულობის და შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელებაზე მიუთითებს.

V. აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის საკითხის გადაწყვეტა

26. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის და გაუქმების საკითხის განხილვა შესაძლებელია ასევე წინასასამართლო სხდომასა და საქმის არსებითი განხილვისას. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარებული, მოსამართლე ვალდებულია, პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით იმსჯელოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობაზე, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ ამის თაობაზე შუამდგომლობა.¹²
27. ამასთან, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის

¹⁰ საია, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, 2020 [05.08.2025].

¹¹ ნეტგაზეთის ფეისბუქ-გვერდი, სასამართლოში არაერთმა მოქალაქემ მიიღო დაზიანება მას შემდეგ, რაც ისინი ძალის გამოყენებით გამოყარეს შენობიდან, 12.06.2025, იხ: <https://www.facebook.com/netgazeti/videos/1059980326082349> [05.08.2025]. მაგალითად, ნათია ჩიქოვანის შემთხვევა. მის მიერ გამოქვეყნებული სამედიცინო დოკუმენტის მიხედვით, მას აქვს მენჯ-ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის ზედაპირული ტრავმა, წვივის ზედაპირული ტრავმა, ხრის სარტყლისა და მხრის ზედაპირის ტრავმა, სხეულზე აღნიშნებოდა მრავლობითი მოლურჯო-იისფერი ჰემატომები და სისხლიჩაქცვები. აღნიშნულზე საუბრობენ ჟურნალისტებიც, თუმცა ამ საქმეებზე არათუ პასუხისმგებლობა მიუციათ ვინმე, გამოძიებაც კი არ არის დაწყებული. ამგვარი მიდგომები ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების მიკერძოებულობის და შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელებაზე მიუთითებს - სასამართლოს მანდატურების მხრიდან ფიზიკური ძალადობის შედეგად 30-მდე სისხლიჩაქცევა მაქვს - მოქალაქე, ნეტგაზეთი, 14.06.2025, იხ: <https://netgazeti.ge/news/776905/> [05.08.2025].

¹² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 219.4.ბ.

ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.¹³

28. კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ამგვარი მექანიზმი უზრუნველყოფს, კანონიერ, აუცილებელ და პროპორციულ სასამართლო განხილვას. თავისუფლების უფლების დაცვის ამგვარი მექანიზმი სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს არსებობს თუ არა კვლავ რეალური და დასაბუთებული საფუძველი აღკვეთის ღონისძიების გასაგრძელებლად. აღნიშნული იცავს ბრალდებულს განგრძობადი, დაუსაბუთებელი ან/და თვითნებური თავისუფლების აღკვეთისგან.
29. მხარე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს, რა ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებია დასმული და მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობაზე.¹⁴
30. სასამართლო, იმის გადაწყვეტისას არსებობს თუ არა ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები ან მტკიცებულებები, აფასებს, შეიცვალა თუ არა რაიმე ისეთი, რაც გავლენას მოახდენს აღკვეთის ღონისძიების კანონიერებასა ან აუცილებლობაზე. ეს შეიძლება იყოს: ახალი მტკიცებულება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, გამოძიების დასრულება და სხვა. მოსამართლეს აქვს შეფასების ფართო დისკრეცია, კერძოდ, იგი თავად წყვეტს, არის თუ არა წარმოდგენილი გარემოება შესაძლებლად არსებითი, ამიტომ ზოგჯერ ფორმალურად ახალი ფაქტიც კი, შესაძლოა, განიხილოს საკმარის საფუძვლად, თუ ის ცვლის აღკვეთის ღონისძიების საჭიროების ზოგად სურათს.
31. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება.¹⁵
32. საია წლებია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშზე დაყრდნობით საქართველოს პროკურატურას მოუწოდებს, შეაფასოს ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების რელევანტურობა და, თუ ადარ არსებობს პატიმრობაში მისი დარჩენის აუცილებლობა, იყოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ინიციატორი.¹⁶ ამის მიუხედავად, ბრალდების მხარე ხშირად არ მიმართავს მტკიცების მაღალ სტანდარტს, აღნიშნულს ალბათ რიგი მოსამართლეების მხრიდან პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხის გადასინჯვის შაბლონურობაც ახალისებს.

VI. პირის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა

33. წინამდებარე საქმესთან პირდაპირ კავშირშია, ასევე, ბრალდებული ნინო დათაშვილის მიმართ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი.

¹³ იქვე, მუხლი 230¹.

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 206.8.

¹⁵ იქვე.

¹⁶ საია, სისხლის სამართლის პროცესის მონიტორინგის ანგარიში N16, 2022 [05.08.2025].

34. ზოგადი წესის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო ან მისი ჩადენის შემდეგ გახდა შეურაცხი, და საჯარო უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს მის სამედიცინო დაწესებულებაში იზოლირებას, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის ან ადვოკატის შუამდგომლობით გამოაქვს პირის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე განჩინება. ბრალდებული შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსდეს არა უმეტეს 20 დღის ვადით.¹⁷
35. 2025 წლის 31 ივლისის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა მედეა ცირამუამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა ექსპერტიზის ჩასატარებლად პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ შუამდგომლობით.
36. შუამდგომლობის დასაბუთების ნაწილში პროკურორი აღნიშნავს, რომ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე, დაცვის მხარემ წარადგინა ნინო დათაშვილის სამედიცინო დოკუმენტაცია. მათ შორის შპს „ინოვას“ მიერ 2019 წლის 6 მაისს გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სადაც დიაგნოზში თანმხლებ დაავადებად მითითებულია ფსიქო-ემოციური ლაბილობა. აქედან გამომდინარე პროკურორმა აუცილებლად მიიჩნია ჩატარდეს სტაციონალური სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ნინო დათაშვილის ფსიქიატრიული მდგომარეობის, მისი შერაცხადობის განსაზღვრის მიზნით. პროკურორი იქვე უთითებს, რომ სტაციონარული ექსპერტიზის აუცილებლობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ნინო დათაშვილს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული ფსიქიკური პრობლემები, ამავდროულად მნიშვნელოვანია შერაცხადობის საკითხის გარკვევა, რის დადგენის ალბათობაც ნაკლებია, თუ დანიშნული იქნება მხოლოდ ამბულატორიული ექსპერტიზა, რაც, პროკურორის მოსაზრებით, შემდგომში განაპირობებს ახალი საექსპერტო კვლევის აუცილებლობა, აღნიშნული კი მისივე მოსაზრებით გამოიწვევს გამოძიების გაჭიანურებას და შესაბამისად პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ბრალდებულის უფლებასთან - სწრაფი მართლმსაჯულების შესახებ. პროკურორის შუამდგომლობის თანახმად, სტაციონარული ექსპერტიზის დანიშვნა ხელს შეუწყობს სს პროცესის მიზნების განხორციელებას, ვინაიდან თავიდან იქნება აცილებული საქმის გაჭიანურება.
37. მოსამართლემ ზემოთ ხსენებული დასაბუთებით პროკურორის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ ნინო დათაშვილი სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მოთავსებულ უნდა იქნას ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში, არაუმეტეს 20 დღის ვადით. სასამართლო განჩინებაში წერს - სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოძიების მიერ მოპოვებული ინფორმაციის, იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაულის ჩადენის დროს, ბრალდებული შესაძლოა შეურაცხადი იყო ან მისი ჩადენის შემდეგ გახდა შეურაცხი და საჯარო უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს მის სამედიცინო დაწესებულებაში იზოლირება, ასევე მას უნდა ჩაუტარდეს ექსპერტიზა, რისთვისაც ის უნდა მოთავსდეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში.
38. საია მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ფიქრია სიქტურაშვილის მიერ გამოტანილი განჩინების დაუსაბუთებლობის ხარისხი საგანგაშოა, მითუფრო მაშინ როცა საქმე ეხება ისეთ

¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 180,181.

ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევას, როგორცაა თავისუფლების და პირადი ცხოვრების უფლება და წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა.

39. მოსამართლეს საკუთარ გადაწყვეტილებაში არც კი უმსჯელია იმაზე, თუ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რამდენად აკმაყოფილებდა კანონიერების, საჭიროების და პროპორციულობის კრიტერიუმებს. გაუგებარია, გამოძიებაში მოპოვებულ რომელ მტკიცებულებებზე საუბრობს მოსამართლე, მაშინ, როდესაც შუამდგომლობაში პროკურორი უთითებს მხოლოდ შპს „ინოვას“ მიერ 2019 წლის 6 მაისს გაცემულ ცნობაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ცნობაში დიაგნოზად მითითებული სიმპტომი აჩენს კითხვის ნიშნებს იმასთან დაკავშირებით, რამდენად სრულყოფილად მოხდა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემული ცნობის შევსება და რამდენად არის ცნობაში დიაგნოზის აღგილას მოხსენიებული სიმპტომი, იმ პროფილის ექიმის შესაფასებელი კომპეტენციას მიკუთვნებული ვინც გასცა ხსენებული ცნობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობა არ პასუხობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №338/ნ-ს „ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“, კერძოდ, ფსიქო-სოციალური ლაბილობა თანმხლებ დაავადებად ისე არის მითითებული, რომ მას აკლია არსებითი მნიშვნელობის რეკვიზიტი - შესაბამისი კოდი. საგანგაშოა, ის ფაქტი, რომ მოსამართლემ 2019 წელს გაცემულ ე.წ. ფორმა 100-ს დააფუძნა გადაწყვეტილება, რომელიც ესოდენ იჭრება ბრალდებულის უფლებებში, მაშინ როდესაც მისთვის პროკურატურას არ წარუდგენია არანირი მტკიცებულება შესაძლო დანაშაულის ჩადენის პერიოდთან ახლოს პერიოდში ან ახლა წინო დათაშვილის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.
40. გაუგებარია, პროკურორმა, შესაბამისი პროფესიული ცოდნის არმქონე პირმა, რაზე დაყრდნობით ჩათვალა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების დასადგენად მნიშვნელოვანი იყო სტაციონარული ექპერტიზის ჩატარება, მით უფრო, რომ მის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობაში მინიმალური სტანდარტითაც კი არ არის დასაბუთებული რატომ ვერ მოხდებოდა მიზნის მიღწევა ნაკლებად შემზღუდველი გზით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურას სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენამდე არ გაუწვია არანირი ძალისხმევა, იმასთან დაკავშირებით, რომ რაიმე სახის ინფორმაცია მაინც მიეღო წინო დათაშვილის ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.
41. მეტიც გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის მიმართვის მიუხედავად, არც კი გამოუკითხავთ ბრალდებული. პროკურატურა გამოძიების ეტაპზე არსებული მდგომარეობით, არ დაინტერესებულა, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს რა სახის ჯანმრთელობის საჭიროებები ჰქონდა და იღებდა თუ არა ის სათანადო მკურნალობას, ამასთან შერაცხადობასთან დაკავშირებით მათი დაუსაბუთებელი ვარაუდების დასასაბუთებლადაც კი არ გამოუთხოვიათ პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილში ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაცია.
42. ამასთანავე პროკურორი შუამდგომლობაში ბრალდებულის უფლებებთან წინააღმდეგობაზე საუბრობს, და ასახელებს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების უფლებას, რომელზეც მისივე ინტერესების გათვალისწინებით ბრალდებულს თავადვე შეუძლია უარი განაცხადოს, გაუგებარია რა სახის სწრაფ მართლმსაჯულებაზე საუბრობს პროკურატურა, როცა პირველი წარდგენის სხდომაზევე მის ხელთ არსებულ დოკუმენტზე წინასასამართლო სხდომამდე ერთი კვირით ადრე ითხოვს ექპერტიზის დანიშნას.
43. პროკურატურის მიერ სასამართლოში ამდენად დაუსაბუთებელი შუამდგომლობის წარდგენა, შესაძლოა მიჩნეული იქნეს სასამართლოს შეურაცხყოფად. მოთხოვნის მსგავსი ტიპის

დასაბუთებით წარმოდგენამ კი შესაძლოა საზოგადოებას, აფიქრებინოს, რომ პროკურატურა ექვემდებარება აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, აღნიშნული აჩენს იმის აღქმას, რომ პროკურატურას იმთავითვე ჰქონდა მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების მოლოდინი და აღნიშნულის გამო არ გაუწევია ზედმეტი ძალისხმევა წარდგენილი შუამდგომლობის დასაბუთებლად.

44. საია სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშებში წლებია უთითებს, რომ აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთებისას ბრალდების მხარე საუბრობს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობაზე, მისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების საფუძვლით, მაშინაც კი, როცა სხდომაზე საჯაროდ გაცხადებული მონაცემებით, ბრალდებულის წინარე გამოცდილება არ იძლევა ამგვარი ვარაუდის საფუძველს.¹⁸
45. პროკურატურის ზემოთ ხსენებული მანკიერი პრაქტიკა გვაფიქრებინებს, რომ ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი არა ბრალდებულის შერაცხადობის დადგენა ან ჯანმრთელობის და ღირსების დაცვაა, არამედ აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის უტაპზე სასამართლოსთვის შეფარებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარების საფუძველზე აპელირებაა. მართალია აღნიშნული არ არის პირის პატიმრობაში დატოვების საფუძველი, თუმცა სასამართლოს წარსული პრაქტიკის გათვალისწინებით, ხშირად გვხვდება ამგვარი გადაწყვეტილებების არგუმენტაციაში.
46. ფაქტი, რომლის საფუძველზეც ბრალდებულის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, მოხდა 2025 წლის 9 ივნისს. ნინო დათაშვილი დააკავეს 20 ივნისს. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების შუამდგომლობა კი პროკურორმა მხოლოდ 31 ივლისს, ანუ თითქმის ორი თვის შემდეგ წარადგინა. აღსანიშნავია, რომ პროკურატურის შუამდგომლობა ეფუძნება არა ახალ გარემოებას ან ბრალდებულის ქცევით გამოვლენილ რაიმე საფრთხეს, არამედ თავად დაცვის მხარის მიერ ბრალდებულის პირველი წარდგენის პროცესზე დართულ ჯანმრთელობის ცნობას. შესაბამისად, ბრალდების მხარის შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს აუცილებლობის სტანდარტებს, რაც არღვევს უფლების კონვენციურ სტანდარტებს და ქმნის თვითნებური ჩარევის რისკს.¹⁹ დამატებით კი, ფაქტი, რომ ბრალდებულის ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების იდენტიფიცირებისთვის წარდგენილი დოკუმენტი მის წინააღმდეგ უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საფუძველი გახდა, მისი მეორეული ვიქტიმიზაციის საკითხს აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.
47. ასევე, პარალელის სახით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში (აშშ შემთხვევაში, ექსპერტიზაზე) იძულებით მოთავსებამდე სამართალწარმოება უნდა ითვალისწინებდეს თვითნებობის წინააღმდეგ ეფექტურ გარანტიებს.²⁰ პირის უშუალო მონაწილეობა სასამართლო პროცესში ან ადვოკატის მიერ მისი ინტერესების წარმომადგენლობა თვითნებობის თავიდან აცილების ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი გარანტიაა.²¹ დაცვის მხარის განმარტებით, ბრალდებული არ იყო

¹⁸ საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N17, 2024[05.08.2025].

¹⁹ შდრ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ტრუტკო რუსეთის წინააღმდეგ“, *Trutko v. Russia*, Application no. 40979/04, 02.05.2013, § 54.

²⁰ შდრ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „M.S. ხორვატიის წინააღმდეგ (no.2)“, *M.S. v. Croatia* (no. 2), Application no. 75450/12, 19.02.2015, § 147.

²¹ შდრ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბეიერე ლატვიის წინააღმდეგ“, *Beiere v. Latvia*, Application no. 30954/05, 29.11.2011, § 52.

ინფორმირებული პროკურორის შუამდგომლობის შესახებ, ხოლო ადვოკატმა აღნიშნულის შესახებ შეიტყო პროცესამდე 40 წუთით ადრე. ამ დროში ადვოკატმა ვერ შეძლო პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მისი დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრა და მისი ინფორმირება ბრალდების მხარის შუამდგომლობის შესახებ. ადვოკატსა და ბრალდებულს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ერთად დაეგეგმათ სტრატეგია. ამგვარად, დაირღვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების სამართალწარმოების პროცესში ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტია – თვითნებობის თავიდან აცილების ეფექტიანი მექანიზმი, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

48. ამასთან, ფაქტი, რომ სასამართლოს ამ აქტის გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას დამატებით შეიძლება მიუთითებდეს უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალების არქონაზე.

VII. დასკვნა

49. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია, სასამართლომ მხედველობაში მიიღოს წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებში მოცემული არგუმენტაცია და სტანდარტები. ამასთან მიგვაჩნია, რომ სასამართლომ შეფარდებული ადვოკატის ღონისძიების ძალაში დატოვების საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა გაამახვილოს წინასასამართლო სხდომამდე ერთი კვირით ადრე ექპერტიზის ჩატარების მიზნით პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების მიზანი ხომ არ არის პროკურატურისთვის პატიმრობის ძალაში დატოვების შუამდგომლობის დასასაბუთებელი დამატებითი არგუმენტაციის შექმნა (იხ. პარაგრაფები 44-45 ზემოთ).

აქვე გაცნობებთ, რომ გამოვთქვით მზაობას, ნინო დათაშვილის მიმართ ადვოკატის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხის განხილვისას სასამართლო სხდომაზე გავაკეთოთ ზეპირი განმარტებები.

ნონა ქურდოვანიძე,

თავმჯდომარე

2025 წლის 06 აგვისტო

